დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრები:

ზურაბ მესხიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 239404006

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

■ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ■ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N 1205862 - 11/09/2026 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა მონიტორიგის ვიზიტი სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია.

შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2026 წლის 23 სექტემბერს განხორციელდა ვიზიტი სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლაში (მის: საჩხერე, სოფელი სავანე). სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანური და მატერიალური რესურსების პროფესიული პროგრამის მდგრადი განხორციელების მიზნით, შეფასდა სკოლის მიერ გაწეული სამუშაოები, პროგრამის განხორციელების პროცესი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების ფაქტობრივი გარემოება, საზოგადოდ სასწავლო გარემო, ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა.

სკოლა ავტორიზებულია 2023 წლიდან და მიმდინარე ეტაპზე ახორციელებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს და ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ავტორიზაციის შედეგად სკოლის მოსწავლეთა ზღვრული ნორმაა - 500 მოსწავლე, ხოლო პროფესიული სწავლებისთვის 24 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუების შედეგებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	24	15	0	0

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები
I. ავტორიზაციის მე-4 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გამოვლენილა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

4.1.1.1. სასურველია საჯარო სკოლამ პროფესიული მიმართულებით აიყვანოს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-51 ბრძანებით დამტკიცებული იყო „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იყო პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის ზოგიერთი თანამშრომლის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
   მარეგულირებელი დოკუმენტი ასევე ითვალისწინებდა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
   მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფდა ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულებას დაგეგმილი ჰქონდა თავისი ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში.
   დაწესებულებას წინა ვიზიტზე წარმოდგენილი ჰქონდა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრული იყო ვადები და აქტივობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება, მათი მკაფიო ფუნქციების გაწერა.
   ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა ზემოაღნიშნულთან მიმართებაში დირექტორის ბრძანება N 2-147 (21/09.2026) ცვლილებების შესახებ, ყველა ის დოკუმენტი, რაც დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ჰქონდა ვალდებულებად აღებული, შესწავლილი იქნა ორგანიზაციის სტრუქტურა, პოზიციები, მათი სამუშაო აღწერილობები, ფუნქცია-მოვალეობები, შერჩეული პერსონალის პირადი საქმე, კვალიფიკაცია, გამოცდილება და დადასტურდა მათი შესაბამისობა წარმოდგენილ პოზიციებზე.
   დაწესებულებას ორგანიზაციის სტრუქტურაში წარმოდგენილი აქვს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ამჟამად ვაკანტურია და მის მოვალეობას ასრულებს სკოლის დირექტორის მოადგილე. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა არის 500 მოსწავლეზე ავტორიზებული და მის ფუნქცია მოვალეობებში შედის მრავლობითი საპასუხისმგებლო ფუნქცია, სასურველია სკოლამ რეესტრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მწარმოებელი აიყვანოს დამოუკიდებელ საშტატო ერთეულად (სრულ ან ნახევარ საშტატო ერთეულზე), თუმცა, ამ ეტაპზე აღნიშნული პირი ინტერვიუს შედეგად ადასტურებს რომ ახერხებს ზედმეტი ძალისხმევის გარეშე რეესტრის მწარმოებლის ფუნქცია-მოვალეობების შეთავსებას, ვინაიდან სკოლის კონტიგენტიც და პროფესიული პროგრამის კონტიგენტიც მცირეა.

ასევე, მოხდა თითოეულ პროფესიული ინტეგრირებული პროგრამის განხორციელებისთვის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელ პირთან გასაუბრება მათ მიერ ფუნქციებისა და მოვალეობების მიხედვით ჩართულობა პროფესიული პროგრამების განხორციელებაში. ინტერვიუს ფარგლებში მიღებული ინფორმაციისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი განახლებული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დადგენილი იქნა, რომ **ინდიკატორი 4.1.1.1. მოთხოვნა - დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, დაკმაყოფილებულია სრულად.**

მიუხედავად ამისა, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაცემული იქნა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასურველია საჯარო სკოლამ პროფესიული მიმართულებით აიყვანოს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.

2. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-51 ბრძანებით დამტკიცებული ჰქონდა „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები სრულად ხელს ვერ უწყობდა დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას და შეფასებული იყო ,,დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ“. გამომდინარე იქიდან, რომ დოკუმენტებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები საჭიროებდა დახვეწასა და განვითარებას, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე ვალდებულებად აიღო გადაეხედა და განევითარებინა თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა ზემოაღნიშნულთან მიმართებაში დირექტორის ბრძანება N 2-147 (21/09.2026)ცვლილებების შესახებ სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობები, ფუნქცია-მოვალეობები, შერჩეული პერსონალის პირადი საქმე, კვალიფიკაცია, გამოცდილება, ჩატარდა გასაუბრება თითოეულ მათგანთან და დადასტურდა მათი შესაბამისობა წარმოდგენილ პოზიციებზე.

ამდენად, ინდიკატორი 4.1.1.2. მოთხოვნა - დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, დაკმაყოფილებულია სრულად.

3. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-51 ბრძანებით დამტკიცებული და N 2-147 (21/09.2026) ბრძანებით განხორციელებული ცვლილებით „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობას, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის №2-26 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიზანია დაწესებულებაში სასწავლო საქმიანობის, მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასება და მის განვითარება–განახლებაზე ზრუნვა. სკოლას ხელშეკრულებით ჰყავს დასაქმებული ხარისხის მართვის მენეჯერი.

ამდენად, ინდიკატორი 4.1.1.3. მოთხოვნა - დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი (ბრძ.N2-51; 16.06.2025, ცვლილება N 2-147, 21/09.2026);
- ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები'' (ბრძ. N 2-51; 16.06.2025);
- ხელშეკრულებები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- ინტერვიუს შედეგებით.

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-51 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია: პერსონალის მართვის პრინციპები, პერსონალის შერჩევის პროცესი, კონკურსის ჩატარების პროცედურა, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცედურა, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, პერსონალის წახალისება და განვითარება. პერსონალის მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომობის მიზნით, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე/საინფორმაციო დაფაზე.
   ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა სკოლის მიერ აღნიშნული რეგულაციის პრაქტიკაში გამოყენების საკითხი, ჩატარდა ახალაყვანილ პოზიციებზე პერსონალთან გასაუბრება, რომლებმაც დაადასტურეს რომ დაწესებულება ზრუნავს თანამშრომელთა ინტეგრაციაზე, ინფორმირებულობაზე, მათი განვითარებისა და სამუშაო პროცესის ხელშეწყობაზე.
   ამ ეტაპზე თითოეული მათგანი რეკომენდაციებისა და სამუშაო კომპეტენციის დადასტურების საფუძველზეა შერჩეული. მომავალში სკოლის დირექტორის ინფორმაციით იგეგმება საჯარო კონკურსების გამოცხადებაც.
   ამდენად, ინდიკატორი 4.1.2.1. სრულ შესაბამისობაშია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის შესაბამისად.

2. დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების შიდა რეგულაციების, მათ შორის, სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-51 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის მიხედვით. სამუშაოს დაწყების მსურველის ცოდნის და უნარ-ჩვევების შემოწმებისთვის ახალი თანამშრომლის აყვანისას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ შესაძლებელია გამოიყენოს შესარჩევი მეთოდიკის ფართო სპექტრი გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას შეუძლია ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება, არსებული საკადრო ბაზიდან ან/და ღია კონკურსის გამოცხადებით. დაწესებულებაში დასაქმება შესაძლებელია როგორც კონკურსით შერჩევის, ასევე, კანდიდატთან გასაუბრების გზით. პერსონალი შესაძლოა დანიშნულ იქნას დანიშვნის აქტით - ბრძანებით/შრომითი ხელშეკრულებით.
როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ეტაპზე კანდიდატები გასაუბრების გზით იქნა შერჩეული და მომავალში იგეგმება საჯარო კონკურსების გზით პერსონალის აყვანაც.
აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

3. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-51 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, აღნიშნული დოკუმენტი შევსებულია, დარედაქტირებულია და დამტკიცებულია ცვლილებებით დირექტორის ბრძანება N 2-147 (21/09.2026) შესაბამისად და ამ ეტაპზე იგი მოიცავს სკოლის სტრუქტურის შესაბამისად სრული სამუშაო პოზიციების ჩამონათვალს, რომელშიც თითოეულისთვის გაწერილია სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულებას საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრული აქვს მინიმალური განათლების დონე, რიგ შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური უნარები, ენის ფლობა, პოზიციის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ცოდნა. განსაზღვრული მოთხოვნები შესაბამისია პოზიციების და განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების. პერსონალი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ პირად საქმეებში დაცულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე, ავტორიზაციის ვიზიტის დროს დადგენილი იქნა, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ჩაუტარდა პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგი 2025 წლის 25-27აგვისტოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და მართვის სტრატეგიებსა და მექანიზმებში, და იგი პროფესიული სწავლების ყველა მმართველმა ერთეულმა გაიარა. **ინდიკატორი 4.1.2.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.**

4. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-51 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანები, ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება-გაძლიერებას, პერსონალის საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას. დაწესებულების საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება სამუშაო შეხვედრები. დაწესებულების პერსონალი მუშაობს გუნდურობის პრინციპით, რომლის მტკიცებულებად შეიძლება მივიჩნიოთ დაწესებულებაში მოქმედი სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება. დაწესებულების სტრუქტურა, ასევე, ცხადჰყოფს, რომ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები ხორციელდება კოლეგიალური პრინციპების გათვალისწინებით. **ამდენად, ინდიკატორი 4.1.2.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი'' (ბრძ.N2-51; 16.06.2025, ცვლილება N 2-147 (21/09.2026));
- „პერსონალის მართვის და განვითარების პოლიტიკა“ (ბრძანება №2 -51; 16.06.2025);
- პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში;
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	საჩხერე, სოფელი სავანე
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებულ გარემოში
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	24
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	15
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ გარემოში. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია სივრცე/აუდიტორია, სადაც განთავსებულია საგანმანათლებლო სტანდარტით მოთხოვნილი მატერიალური რესურსითა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით სასწავლო იმიტირებული A/B გარემო და ინტეგრირებული სწავლების აუდიტორია თითოეული 12-12 პროფესიული სტუდენტისთვის და 1 მასწავლებლისთვის. მათში მიმდინარეობს ორი მიღების ფარგლებში 10 და 5 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფების სწავლება. პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულება დამატებით იყენებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტს, რომელიც ასევე გამოიყენება ზოგადი განათლების საფეხურის ფარგლებში, თუმცა მისი გამტარუნარიანობა დაწესებულებამ დაადასტურა კაბინეტების საათობრივი დატვირთვის წარმოდგენითა და ასევე დადასტურდა პროფესიული პროგრამების განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუებით.
   დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სპორტული დარბაზის დატვირთვის სქემა საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის სპორტის სწავლებისთვის ფართის გაზიარების საკმარისობის დასადასტურებლად.
   დაწესებულების მიერ განსაზღვრული იყო პროგრამის/მოდულების განხორციელებისთვის საჭირო რესურსი, რომლის შეძენაც დაგეგმილი იყო და წინა ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო მატერიალური რესურსის დანართის სახით საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტთან ერთად და გაწერილი იყო ვადები და პასუხისმგებელი პირები შესაბამისობის გეგმაში, რის გამოც ინდიკატორი/კომპონენტი შეფასებული იყო „მეტწილი შესაბამისობით“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა მიერ ადგილზე ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მიერ პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის შეძენის საკითხი ადგილზე დათვალიერებითა და მათი ფლობის დოკუმენტების შესწავლით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და დასტურდება, რომ დღეისათვის დაწესებულება სრულად ფლობს პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა ,,მოძრავი ქონების ,,საქონელი“ საჯარო სკოლებისთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის ბრძანებები ბ70.702603628 05/02/2026, ბ70. 702531610 12/11/2025, ბ70. 70260917 01/04/2026, ბ70, 702621736 05/08/2026 , რომელთა საფუძველზე კორბოულის მე-2 საჯარო სკოლას გადაეცა მიღება-ჩაბარების საფუძველზე:

პრინტერი, კარტრიჯები და დინამიკები, კომპიუტერის გასაწმენდი საშუალებები, ანტისტატიკური ხალიჩა, არახაოიანი საწმენდი ჩვრების კომპლექტი, ფანარი, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროები, გარე მყარი დისკი 1თბ, მყარი დისკი NVR თავსებადი, IP კამერა (PoE ადაპტერით), NPV (IP კამერასთან თავსებადი), IP ტელეფონი, ბრტყელი ფორმის სახრახნისი, ჯვარედინი ფორმის სახრახნისი, ექვსკუთხა ქანჩი, ელექტრო სადენის საფრცქვნელი ინსტრუმენტი, ინსტრუმენტების ნაკრები კომპ ქსელისთვის, მკვნეტარა, მულტიმეტრი, დამცავი სათვალე, კაბელის ტესტერი, სამაჯური და სადენი, დენის ფილტრი, კარადა თაროებიანი ჩამკეტით, სავარძელი ორთოპედიული, მაგიდა, მასწავლებლის მაგიდა, პროფესიული სტუდენტის მაგიდები, ქიმიის ვირტუალური ლაბორატორია, ინტერაქტიული ეკრანი (სმარტ დაფა), მაგნიტური დაფა თეთრი სადგარით, USB ტიპის ინტერფეისის უსადენო ქსელის ადაპტერი, კომუტატორი (არანაკლებ 8 პორტით),კომუტატორები, ქსელის მზა სადენი (პაჩკოდი), გრაფიკული ინტერფეისის მქონე მულტიფუნქციური უსადენო ქსელის მარშრუტიზატორი/როუტერი, მარშრუტიზატორი, მონიტორები, პერსონალური კომპიუტერები, კლავიატურები, მაუსები.

სპორტის მოდულში დაწესებულებას არჩეული აქვს კალათბურთი და ხელბურთი, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი რესურსი და უნაწილებს პროფესიული განათლების სტუდენტებს, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაადასტურეს ცხრილის სახით წარმოდგენილი სპორტდარბაზის დატვირთვის სახით. ასევე დირექტორთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი გეგმავენ პროფესიული სწავლებისთვის დამატებით ინვენტარის შეძენასაც.

ამ ეტაპზე პროფესიული პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ორ ნაკადად 12-12 პროფესიული სტუდენტის სწავლებისთვის, სულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის 24 პროფესიული სტუდენტი, სკოლის მატერიალურ ტექნიკური რესურსი სრულ შესაბამისობაშია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა სულ 13 მასწავლებელი, 4 დარგობრივი და 9 ინტეგრირებული 2 ზოგადი, მათ შორის 2 მასწავლებელი ზოგადსა და დარგობრივზე ერთდროულად. ყველა მათგანთან გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.

საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლების კვირეული დატვირთვა არ სცდება კანონმდებლობით დადგენილ ნორმას - 40 საათს. ასევე მასწავლებლები რომლებიც ახორციელებენ ინტეგრირებულ მოდულებს, არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას და აგრეთვე შესაბამისობაშია ნორმატიულ აქტთან“ საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის #108/ნ ბრძანების“ მე-7 მუხლის თანახმად, მასწავლებლის ანაზღაურებადი სრული სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება 25 საათის ოდენობით. დაწესებულებაში მასწავლებელთა დატვირთვა არ სცდება აღნიშნულ ნორმას, ხოლო პროგრამის ფარგლებში, წარმოდგენილი სასწავლო გეგმით, ინტეგრირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მოდულების სწავლება დაგეგმილია კვირაში 3-4 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული პროგრამის განმახორციელებლების სრული, გაერთიანებული წლიური დატვირთვა, რომლის ანალიზის საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტები დარწმუნდნენ რომ საჯარო სკოლაში პროფესიული პროგრამის განხორციელების ფარგლებში ადგილი არ აქვს კანონმდებლობით დადგენილი საათობრივი დატვირთვის ნორმის გადაჭარბებას.

შესაბამისად, ამ ეტაპზე პროგრამის განმახორციელებელთა რაოდენობა უზრუნველყოფს მის მდგრადობას.

ამდენად, დაწესებულება შესაბამისობაშია 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-51 ბრძანებით დამტკიცებული და 2026 წლის 21 სექტენბრის N2-147 ბრძანებით შეტანილი ცვლილებებით პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ კოლეჯში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით.

ვიზიტის დროს შემოწმდა პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები. წარმოდგენილი პირადი საქმეები სრულყოფილია, წარმოდგენილია კომპეტენციის/კვალიფიკაციის დამდასტურებელი დოკუმენტები. პირად საქმეზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ინტეგრირებული მოდულების ყველა მასწავლებელს დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია ან/და აქვს საგნის სწავლების გამოცდილება, ხოლო პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და გავლილი აქვთ ტრენინგ-კურსები. უდასტურდებათ შესაბამისი სამუშაო გამოცდილება. პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დასტურდება შერჩეული პირების შესაბამისობა საკანონმდებლო და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

პროფესიული განათლებისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენციის განვითარების მიზნით, დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ჰქონდა მასწავლებელთა, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციების განვითარება. ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება განმახორციელებელ პირებთან, რომლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების კომპეტენციები და დადასტურდა, რომ თითოეუმა მათგანმა გაირა პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული შესაბამისი ტრენინგები. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებისთვის ინტეგრირებული მოდულის სწავლების შესავალი ტრენინგი და ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ტრენინგი სპეციფიკების მიხედვით და ასევე, ყველა განმახორციელებელმა მასწავლებელმა გაიარა სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია და კომპენტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში.

ამდენად, დაწესებულება შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის, მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილება. მისი ფუნქციები, ანაზღაურება და სხვა სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებითა და სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-51 ბრძანებით დამტკიცებული (2026 წლის 21 სექტემბრის N2-147 ცვლილებები) პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება პირის შესაბამისობა საკანონმდებლო და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან. აღნიშნული დადასტურდა ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ განსაზღვრული სამუშაო აღწერილობით, პროგრამის ხელმძღვანელი გარდა მოდულების განხორციელებისა, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართული იქნება პროგრამის ადმინისტრირების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის, პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარების პროცესებში.

ექსპერტების პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელს არის თავისი საქმის მცოდნე, კომპეტენტური, სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.**

5. დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც ხორციელდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. დაწესებულების მიერ განხორციელებულია საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესებისა და შევსების პროცესები, რაც დადსტურდა ვიზუალური დათვალიერებით და ინტერვიუებით.
შესაბამისად, დაწესებულება შესაბამისობაშია 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო. 2025 წლის 16 ივნისის სკოლის დირექტორის ბრძანებით №2-51 დამტკიცებული (N2-144, 09/09/2026 ცვლილება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (მუხლი 71) არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. სკოლას შემუშავებული აქვს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის საჭიროებას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში - ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯებში - პროფესიული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება და მასალა-ნედლეულის ხარჯი. არსებული ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან საჭირო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება, ცვლილებების დამტკიცების ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შესაბამება
☐ მეტწილად შესაბამება
☐ ნაწილობრივ შესაბამება
☐ არ შესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

13.10.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

